აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პედაგოგიური ფაკულტეტი

პედაგოგიური პრაქტიკის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქუთაისი
2022

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტი სოფელ ქვედა საზანოს N 1 საჯარო სკოლა

პრაქტიკის დაწყება- 1.03.2022

პრაქტიკის დასრულება- 10.06.2022

სტუდენტი: თინათინ გაგოშიძე

პრაქტიკის ხელმძღვანელი: ნინო მამრიკიშვილი

მენტორი: თამარ ჩუბინიძე

რეზიუმე

პედაგოგიური პრაქტიკა იყო საკმაოდ რთული, საინტერესო და მრავლისმომცველი პროცესი, რომლის განმავლობაში შევიძინე უამრავი საჭირო უნარ-ჩვევა, რაც ძალიან დამეხმარება სამომავლოდ პედაგოგიურ საქმიანობაში.

წინამდებარე პრაქტიკის ანგარიშში მოცემულია სხვადასხვა დოკუმენტაცია, რაზეც აქტიურად ვმუშაობდი მთელი პრაქტიკის განმავლობაში. ესენია: პედაგოგიური პრაქტიკის დღიური, მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახასიათება, ჩემ მიერ შედგენილი ხუთი გაკვეთილის გეგმა, აღმზრდელობითი ღონისძიების გეგმა-კონსპექტი და მენტორის მიერ სტუდენტის დახასიათება.

პედაგოგიური პრაქტიკის დღიურში აღწერილია მთელი პრაქტიკის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა, სხვადსხვა მოვლენები და მნიშვნელოვანი ფაქტები. პრაქტიკა გრძელდებოდა თხუთმეტი კვირის განმავლობაში, ასე რომ საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, შევხვდი უამრავ სიახლეს, ძირფესვიანად გავეცანი საგანმანათლებლო სისტემას და ყოველივე ეს დეტალურად ავსახე ჩემს პედაგოგიურ დღიურში.

მოსწავლის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დახასიათებაში მოცემულია ჩემ მიერ შერჩეულ ერთ-ერთ მოსწავლეზე განხორციელებული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დაკვირვება. მთელი პრაქტიკის განმავლობაში აქტიურად ვაწარმოებდი მასზე დაკვირვებას შევისწავლე მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ყოველივე დეტალურად ავსახე მოცემულ დოკუმენტში.

რაც შეეხება აღმზრდელობითი ღონისძიების გეგმა-კონსპექტს, აქ წარმოდგენილია ჩემ მიერ შერჩეული ვფიქრობ როგორც მოსწავლეებისთვის ასევე სკოლისთვის და საზოგადოებისთვის საინტერესო და პრიორიტეტული თემა გარემოს დაცვა. განხილულია თემის აქტუალურობა და ჩემ მიერ განხორციელებული ღონისძიებები.
ხუთი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი მოიცავს პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ჩემ მიერ დაგეგმილი და ჩატარებული ხუთი გაკვეთილის გეგმას.
მენტორის მიერ სტუდენტის დახასიათება მოიცავს მენტორ-მასწავლებლის მიერ ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის საქმიანობის შეფასებას, სადაც ის აღწერს თუ როგორ გავართვი თავი დაკისრებულ მოვალეობებს.
პედაგოგიური პრაქტიკის ანგარიში ასევე მოიცავს იმ სასწავლო დაწესებულების აღწერას, სადაც გავიარე პედაგოგიური პრაქტიკა, ასევე მოცემულია იმ საქმიანობის მოკლე ანალიზი, რაც განვახორციელე მთელი პრაქტიკის განმავლობაში.
ბოლოს მოცემულია დასკვნები, სადაც შეჯამემებულია მთელი პრაქტიკის ანგარიში, გამოტანილია საბოლოო დასკვნები და ასევე თანდართულია ყველა ზემოთხსენებული დოკუმენტი.

სარჩევი

1. **რეზიუმე 3**

2. **საწარმოოს/ორგანიზაციის აღწერა.....5**

3. **პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი.....6**

4. **დასკვნები.....11**

5. **დანართი.....12**

საწარმოოს/ორგანიზაციის აღწერა

პედაგოგიური პრაქტიკა გავიარე სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლაში, რომელიც მდებარეობს სოფელ ქვედა საზანოში. სკოლას აქვს მრავალწლიანი წარმატებული ისტორია, რომელიც მსურს რომ მოკლედ მიმოვიხილო. გადმოცემის მიხედვით მეოცე საუკინის დასწყისში საზანოელ შეძლებულ პიროვნებას სიკო ალავიძეს სკოლისათვის ჩამოერთვა ოდა-სახლი. დღევანდელ სკოლის ეზოში გაიჭრა ბალავერი და დაიწყო პირველი სართულის მშენებლობა, რაც უმოკლეს დროში დასრულებულა, მასზე დაიდგა მრავალოთახიანი ოდა. ხალხი დიდი ენთუზიაზმით შრომობდა სკოლის მშენებლობაზე, სპეციალური კომისიაც კი ყოფილა შექმნილი მუშაობის ხარისხიანად და დაჩქარებით წარმართვისათვის. 1923 წლის პირველ სექტემბერს ქვედა საზანოს მოსახლეობამ იზეიმა სკოლის გახსნა, რომელსაც დასწრებია შორაპნის მაზრის განათლების განყოფილების გამგე ელფთერ ღვალაძე. 1926 წელს, სხვადასხავა მიზეზთა გამო, სკოლა გადაკეთებულა ე.წ. კოლახსკოლად, რომლის დირექტორად დაუნიშნავთ აგრონომი კოტე პეტრეს ძე ჭანტურიძე, ამის შემდეგ სკოლის დირექტორი ყოფილა ალექსანდრე ცერცვაძე. მისი დამსახურებაა სკოლის ეზოს წესრიგში მოყვანა, მას დაუგეგმავს და ეზო-პარკში გაუშენებია მარადმწვანე სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, ასევე ფართოფოთლოვანები და ბუჩქოვანები, რაც ნაწილობრივ დღესაც არის შემორჩენილი და ამშვენებს სკოლის ეზოს. 1937 წელს კოლახსკოლის ბაზაზე შეიქმნა საზანოს საშუალო სკოლა. სოფლის ცენტრში 60-იან წლებში აიგო თანამედროვე სამსართულიანი საშუალო სკოლა, რომელიც დღემდე აქტიურადაა ჩართული სასკოლო თუ რაიონულ სასწავლო შემოქმედებით ღონისძიებებში და კონკურსებში.

სკოლას ამჟამად ღირსეულად ემსახურება პედაგოგიური კოლექტივი ქალბატონ მანანა ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით. 23 პედაგოგიდან 11 წამყვანი და 1 მენტორია. სკოლაში დღესდღეობით ირიცხება 200 -მდე მოსწავლე. მიუხედავად მოსწავლეთა სიმცირისა თამამად შეიძლება იქთვას რომ სკოლა გამორჩეულია მიღწევებით როგორც სასწავლო ისე შემოქმედებით და სპორტულ ღონისძიებებში, რასაც მოწმობს სკოლის შენობაში გამოფენილი უამრავი სიგელი, თასი და სხვადასხვა ჯილდო.

პედაგოგ-მასწავლებელთა დაუღალავი, ღირსეული შრომის შედეგია წარჩინებული მოსწავლეები, რომლებიც მრავლად ჰყავს სკოლას. აგრეთვე უნდა აღვნიშნო რომ, ჩემი ოჯახის ახლობელი წლების განმავლობაში მუშაობდა აქ საქმეთა მმართველად , სკოლის 75 წლის იუბილეს აღსანიშნავად შექმნილ წიგნში მას ბატონი გიორგი აბაშიძე, წიგნის ავტორი, „თავისი საქმის ფაქიზ შემსრულებლად“ მოიხსენიებს, მას სკოლის 99 წლის ისტორიაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი, ეს ჩემთვის სასიამოვნო მოტივატორი აღმოჩნდა, იმისათვის რომ მეტი ენთუზიაზმით და მონდომებით ჩავრთულიყავი სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში შექმნილია ძალიან მეგობრული და კოლეგიალური ატმოსფერო, ყოველი მასწავლებელი პირველ რიგში მოსწავლის მეგობარია, აძლევს მათ რჩევებს, ეხმარება ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში და მისი გულითადი მსმენელია.

პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი

პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც გავიარე სსიპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლაში გრძელდებოდა თხუთმეტი კვირის განმავლობაში.
მთელი ეს პროცესი საკმაოდ რთული, საპასუხისმგებლო და ძალზე საინტერესო გამოდგა, ჩემთვის ეს იყო ერთგვარი გამოწვევა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით მივუდექი. ძალიან სასიამოვნო იყო მოსწავლეებთან და ჩემს მენტორ-მასწავლებელთან ერთად მუშაობა და თანამშრომლობა.

პრაქტიკის შედეგების მიღწევის გზები, როგორც უკვე აღვნიშნე საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო იყო, პრაქტიკის პროცესში მქონდა დაკისრებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია: უნდა დავსწრებოდი ყველა გაკვეთილს მენტორ-მასწავლებელთან ერთად, უნდა მეწარმოებინა დაკვირვება მთელ საგაკვეთილო პროცესზე, უნდა ჩამენიშნა თითოეული დეტალი და ასევე უნდა გამეთვალისწინებინა მენტორის რჩევები, მითითებები რაც შემდგომ უვე დამეხმარებოდა დამოუკიდებლად დამეგეგმა და ჩამეტარებინა ხუთი საჩვენებელი გაკვეთილი.

პრაქტიკის მიმდინარეობისას გავეცანი განათლების სისტემაში არსებულ ფუნდამენტალური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს. ესენია: ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი, აგრეთვე შევისწავლე სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების წესები, ვფიქრობ ეს ძალიან დამეხმარება სამომავლოდ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში.

ჩემთვის სიახლე აღმოჩნდა მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. ასევე მივხვდი რომ მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი სიტყვიერი შეფასება, შექება.
ინოვაცია იყო ასევე ჩემთვის სკოლის ადმინისტრაციისა და სტრუქტურის გაცნობა, რაზეც ინფორმაცია მომაწოდა მენტორ-მასწავლებელმა. შევისწავლე სკოლის სამეურვეო საბჭოს ფუნქცია-მოვალეობები, სხვადასხვა საგნების კათედრების საქმიანობა.

ჩემთვის განსაკუთრებით სინტერესო იყო მასწავლებლისა და დამრიგებლის ვალდებულებების გაცნობა, გაანალიზება. მივხვდი რომ დამრიგებელი ძალიან დიდ როლს ასრულებს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ასევე მინდა ხაზი გავუსვა მშობელთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინსტიტუტის არსებობას, ვფიქრობ მათი როლი საკმაოდ დიდია სკოლაში წამოჭრილი პრობლემების განხილვისას.

განვლილმა პრაქტიკამ შემძინა ძალზე საჭირო სხვადასხვა უნარ-ჩვევა, როგორებიცაა: თანამშრომლობა, კოლეგიალობა, მუდმივი მზადყოფნა დახმარებისათვის. ასევე დავხვეწე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც ჩემი აზრით ძალზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დასაინტერესებლად, მათი ინტერესის გაღვივებისთვის. აგრეთვე ვისწავლე თუ რაოდენ დიდ ყურადღებასა და სიფრთხილეს მოითხოვს თითოეული გაკვეთილის მომზადება, საინტერესო აქტივობების შერჩევა, რესურსების სწორად გამოყენება.

პრაქტიკის განმავლობაში შევიძინე მასწავლებლისთვის საჭირო სხვადასხვა კომპეტენცია, რომლებიც აუცილებელია წარმატებული სწავლებისათვის. ესენია: მიდგომების, მეთოდებისა და სწავლების შესაძლებლობების დაგეგმვა, მოსწავლეთა დისკუსიის უნარის გაუმჯობესების მეთოდოლოგია, პოზიტიური სასკოლო კულტურის დამკვიდრების მიზნით, შესაბამისი წესების შემუშავება და ასევე შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება.

თანამედროვე განათლების სისტემაში დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას, თითოეული სკოლა აქტიურადაა ჩართული ინკლუზიური განათლების განვითარების საქმეში. როგორც შევისწავლე ინკლუზიური განათლება გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად.

აქვე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ინკლუზიური განათლების საფუძვლიანად შესწავლაში დამეხმარა 60 კრედიტიან პროგრამაზე შესწავლილი საგანი ინკლუზიური განათლება და ქალბატონი ნატო ქობულაძის რჩევები.
სწავლების პროცესში გამომუშავებული კომპეტენციები, რომლებიც მივიღე სხვადასხვა საგნის შესწავლის შედეგად, თამამად შემიძლია ვთქვა რომ აბსოლუტურად შეესაბამება პრაქტიკის მიზნებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგანი ზოგადი ფსიქოლოგია, სადაც გავეცანი ბავშვის მენტალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ განვითარებას, მის ემოციურ განვითარებას, რაც ვფიქრობ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სწავლა-სწავლების პროცესში.
ასევე საგანი კლასის მართვა, რომელიც ვფიქრონ ყველაზე რთული კომპონენტია საგაკვეთილო პროცესში: იგი მოიცავს კლასის ორგანიზებას, აქტივობების დაგეგმვას და მოსწავლეებთან თანამშრომლობას და მათთან საერთო ენის გამონახვას.

აღსანიშნავია ასევე საგანი – სწავლებისა და განვითარების თეორიები, ვფიქრობ ეს სახელმძღვანელო უნდა იყოს ყველა მასწავლებლის სამაგიდო წიგნი. აქ შევისწავლე უამრავი სიახლე სწავლების შესახებ, გავეცანი პიაჟეს, უზნაძის, ვიგოტსკის, ბრუნერის, მონტეზორის და სხვათა ძალზე საინტერესო თეორიებს და სწავლების მიდგომებს, რომლებიც დღესაც აქტუალურია.
ვფიქრობ ამ მეთოდებს აქტიურად გამოვიყენებ სწავლების პროცესში.
მთელი წლის მანძილზე შესწავლილი ყველა საგანი ვფიქრობ რომ არის ძალზე საჭირო და მრავალმხრივი ცოდნის მომცემი პიროვნების პედაგოგად ჩამოყალიბებისთვის, თუმცა განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო საგნის სწავლების მეთოდიკები. გერმანული ენის სწავლების მეთოდიკა იყო კომპლექსური, მრავალპროფილური საგანი, სადაც შევისწავლე ცალკეული მეთოდები და ხერხები სხვადასხვა უნარზე ორიენტირებული სწავლების წარმართვისთვის. გერმანული ენის სწავლების პროცესში აუცილებელია ოთხი სხვადასხვა უნარის თანაბარმნიშვნელოვნად სწავლება. ესენია: წერა, კითხვა, საუბარი და მოსმენა.
გავიგე რომ მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს გაკვეთილი ისე რომ თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭოს ოთხივე უნარ-ჩვევას. მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი რომ სრულფასოვნად შეასწავლოს მოსწავლეებს უცხო ენა.
პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაო და შეძენილი უნარ-ჩვევები, ჩემი აზრით არის საწყისი ეტაპი ჩემი სამომავლო პედაგოგიური კარიერის წარმატებისათვის.

ყოველთვის ვეცდები რომ დიდი ენთუზიაზმით მივუდგე თითოეულ გაკვეთილს, დავგეგმო და ჩავატარო ეფექტური, ინოვაციური გაკვეთილები, რათა ავამაღლო მოსწავლეთა განწყობა და მოვახერხო თითოეული მათგანის სრულყოფილად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

პრაქტიკის დასასრულს უნდა ვაღიარო რომ არ არის მარტივი იყო წარმატებული პედაგოგი, მუდმივად უნდა ეცადო არ ჩამორჩე სიახლეებსა და გამოწვევებს, ყოველდღიურად უნდა განვითარდე, შეიძინო უფრო და უფრო მეტი უნარი.

პრაქტიკამ როგორც უკვე აღვნიშნე ნამდვილად მომცა ბევრი საჭირო უნარი შევქმნა ჯანსაღი, უსაფრთხო სასწავლო გარემო, დავგეგმო სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და გავაუმჯობესო მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება.

დასკვნები

საბოლოო ჯამში, შემიძლია დავასკვნა რომ, სასწავლო პროცესმა და პედაგოგიურმა პრაქტიკამ წარმატებით ჩაიარა.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტს და ჩემს პრაქტიკის ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო მამრიკიშვილს. ისინი ყოველთვის დიდი ძალისხმევითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავიანთ საქმიანობას.

პრაქტიკის პროცესში ხელმძღვანელისა და მენტორის დახმარებითა და რჩევებით პირნათლად შევასრულე პრაქტიკით გათვალისწინებული ვალდებულებები: აქტიურად ვაწარმოებდი პრაქტიკის დღიურს, ვაწარმოე პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დაკვირვება ერთ-ერთ მოსწავლეზე, დავგეგმე, ორგანიზება გავუკეთე და ჩავატარე აღმზრდელობითი ღონისძიება- თემაზე „გარემოს დაცვა“, ასევე შევადგინე ხუთი გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი.

სიამაყით შემიძლია ვთქვა რომ განვლილმა პრაქტიკამ უდიდესი გამოცდილება შემძინა, მომცა ის უნარ-ჩვევები, რაც პედაგოგს სჭირდება რათა სწავლების პროცესი გახადოს საინტერესო, ინოვაციური და მისცეს მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება. ასე რომ ყოველთვის ვიქნები სიახლეების შეთვისებასა და დანერგვაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პედაგოგი და პრაქტიკიდან მიღებულ ცოდნას სრულად გამოვიყენებ ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

დანართი

პრაქტიკული მუშაობის განმავლობაში დამუშავებული მასალა

1. პედაგოგიური პრაქტიკის დღიური
2. ხუთი ნიშნით შეფასებული გაკვეთილი გეგმა
3. აღმზრდელობითი ღონისძიების გეგმა-კონსპექტი
4. მოსწავლის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კვლევა
5. მენტორის მიერ სტუდენტის დახასიათება

სტუდენტი-პრაქტიკანტი _____

მენტორი _____

დირექტორი_____

«___» _____ 2022 წ.